ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 24.03.2020
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 013/20

შეკითხვა:

ადვოკატი წარმოადგენს სამოქალაქო საქმეზე ორი კლიენტის ინტერესს პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელე) ადვოკატი გამიზნულად იყენებს საპროცესო უფლებას ბოროტად. კერძოდ, სასამართლო სხდომებზე აყენებს არაერთ შუამდგომლობას საქმის განხილვის გადადების თაობაზე. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი არ უთითებს რაიმე მნიშნველოვან ახალ გარემოებებზე, რის გამოც ითხოვს საქმის გადადებას. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი ასეთი ქმედებით ხელს უშლის საქმის დადგენილ ვადაში განხილვას. რამდენადაა პროფესიული ეთიკური ნორმები დაცული ადვოკატის მიერ ასეთი ქმედებებით? შეუძლია თუ არა ასეთ შემთხვევაში მოპასუხის ადვოკატმა მიმართოს საჩივრით ეთიკის კომისიას კოლეგის მიმართ, კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის მითითებით?

ანალიზი:

ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1)

„ .... კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 წინადადება).

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

ადვოკატი მოქმედებს კლიენტის ინტერესების შესაბამისად და მასთან შეთანხმებით, მათ შორის სასამართლოში წარმომადგენლობისას მის მიერ დაფიქსირებული პოზიცია, შუამდგომლობები გამოხატავს კლიენტის ნებას, რომელიც შესაძლოა არ იყოს მისაღები მოწინააღმდეგე

მხარისათვის ან მისი ადვოკატისათვის. მოცემულ შემთხვევაშიც, ადვოკატის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს არ ეთანხმება მეორე მხარის ადვოკატი და საფუძვლად უთითებს მის მიერ საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებას. თავისთავად, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა იმოქმედოს კანონის შესაბამისად, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ შუამდგომლობებით მიმართვა მისი საპროცესო უფლებაა და აღნიშნულის მიზანშეწონილობას, მათ შორის იმის განსაზღვრა, რამდენად ემსახურება ადვოკატის მოქმედებები პროცესის გაჭიანურებას - მოსამართლის შეფასების საგანს წარმოადგენს. ადვოკატის მიერ შუამდგომლობების წარდგენა თავისთავად კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიაა, ამასთან, ადვოკატს თავისი სტატუსიდან გამომდინარე აკისრია ვალდებულება, როგორც კვალიფიციურმა წარმომადგენელმა შეაფასოს საქმესთან დაკავშირებით რა სახის შუამდგომლობები წარუდგინოს სასამართლოს, რაც ერთ-ერთი სტრატეგიაა კლიენტის ინტერესების დაცვის დროს. ადვოკატი, როგორც კვალიფიციური მრჩეველი უნდა აცნობიერებდეს, რომ საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებამ შესაძლოა დააზარალოს კლიენტის ინტერესები, კერძოდ, სასამართლომ წაართვას მას შუამდგომლობების დაყენების უფლება.

შეკითხვაში მოცემული მოქმედება ვერ დაკვალიფიცირდება კოლეგიალობის პრინციპის ფარგლებში, რადგან აღნიშნული კოლეგებისადმი პატივისცემის დაცვას განსაზღვრავს. მოცემულ შემთხვევაში, კი საკითხი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ პროცესის გაჭიანურების მიზნით შუამდგომლობათა წარდგენას ეხება.

დასკვნა:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებული შუამდგომლობების შეფასება - სასამართლოს კომპეტენციაა. ამასთან, კომისიას შეუძლია იმსჯელოს წარმომადგენლობა რამდენად ხორციელდება კანონის შესაბამისად, კვალიფიციურად და კლიენტთან შეთანხმებით.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.